გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიში

2024 წელი

31 ოქტომბერი 2025

სარჩევი

განყოფილება	გვერდი
მმართველი პარტნიორის მიმართვა	3
ფირმის მმართველობა	4
რისკების მართვა და დამოუკიდებლობა	12
აუდიტის ხარისხი	18
ხმსს 1-თან შესაბამისობა	23
ფინანსური ინფორმაცია	27

მმართველი პარტნიორის მიმართვა

გამჭვირვალობის ანგარიში - არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ხაზს უსვამს ჩვენს მტკიცე ერთგულებას აუდიტის ხარისხისა და კეთილსინდისიერებისადმი

ჩვენი ურყევი ერთგულება აუდიტის ხარისხის, კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობისადმი წარმოადგენს ჩვენი საქმიანობის არსებით საფუძველს.

2024 წლის გამჭვირვალობის შესახებ ანგარიში კიდევ ერთხელ ადასტურებს აღნიშნულ ღირებულებებს და დაინტერესებულ მხარეებს აწვდის სრულ, მკაფიო და ყოვლისმომცველ წარმოდგენას ჩვენი მმართველობის მოდელზე, რისკების მართვის მექანიზმებზე და იმ მკაცრ სტანდარტებზე, რომლებიც უზრუნველყოფს აუდიტის უმაღლესი ხარისხის შენარჩუნებას.

გლობალურად ცვალებად რეგულირებად და ბიზნესგარემოში ჩვენ მუდმივად ვდგავთ ნაბიჯებს იმისათვის, რომ დავიცვათ საჯარო ინტერესი და უზრუნველვყოთ ჩვენი კლიენტებისთვის სანდო, დამოუკიდებელი და მაღალხარისხიანი მომსახურება.

გასულ წელს ფირმა წარმატებით გაუმკლავდა ცვლილებებს, სწრაფ ტექნოლოგიურ განვითარებას და პროფესიულ სივრცეში მზარდ კონკურენციას როგორც კვალიფიციურ კადრებზე, ისე კლიენტებზე. მიუხედავად გამოწვევებისა, ჩვენ შევინარჩუნეთ სტაბილური ზრდა და ძლიერი შედეგები — რაც დადასტურებულია როგორც გარე, ისე შიდა ხარისხის მართვის სისტემების შეფასებებით. მიმდინარე ანგარიში ასახავს ჩვენს პროგრესს ხარისხის კულტურის გაღრმავების მიმართულებით — კლიენტის მიღების პროცესიდან დაწყებული, გარიგების შესრულებით გაგრძელებული და თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებით დამთავრებული.

ჩვენ ვამაყობთ იმ ღირებულებებით, რომლებიც ეფუძნება კოლაბორაციის, პროფესიული კონსულტაციისა და კონსტრუქციული დისკუსიის კულტურას — გარემოს, სადაც ხარისხი და დამოუკიდებლობა არასოდეს ექვემდებარება კომპრომისს.

რისკების მართვა ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია და რჩება უმაღლეს პრიორიტეტად. აუდიტის ხარისხის მონიტორინგის სისტემა მოიცავს შიდა და გარე მიმოხილვებს, ძირეული მიზეზების ანალიზს და მიზნობრივ სამოქმედო გეგმებს, რაც ქმნის საფუძველს უწყვეტი გაუმჯობესებისა და გრძელვადიანი მდგრადობისათვის.

მომავლისაკენ ვიყურებით ოპტიმიზმით. მადლობას ვუხდით ჩვენს კლიენტებს, რეგულატორებსა და კოლეგებს ნდობის, მხარდაჭერისა და პარტნიორობისათვის.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

გრანთ თორნთონი / Grant Thornton

ფირმის მმართველობა

სამართლებრივი სტრუქტურა

შპს გრანთ თორნთონი - Grant Thornton International Ltd-ის წევრი ფირმა - რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2005 წლის 20 მარტს; რეგისტრაციის № 200136600. იურიდიული მისამართი: ქეთევან დედოფლის გამზირი 54, ისანი-სამგორი, თბილისი, საქართველო; აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-780146

კომპანია ექვემდებარება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო **დაწესებულების ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის** რეგულაციებს. გარდა ამისა, კომპანია სრულად იცავს შესაბამის საგადასახადო, კორპორაციულ და შრომით კანონმდებლობას.

Grant Thornton საქართველოს მფლობელები არიან:

1. ემილ ვასილიანი - 48.5%,
2. GT Partners LLC - 31.5%,
3. ვახტანგ ცაბაძე - 10%, და
4. პაატა შურღაია - 10%.

ზემოთ აღნიშნული პირებიდან ორნი **- ვახტანგ ცაბაძე და პაატა შურღაია - ასრულებენ მმართველი პარტნიორის როლს ადგილზე** და პასუხისმგებელნი არიან კომპანიის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრაში, კლიენტების მომსახურების მიწოდებასა და საოპერაციო მმართველობაში.

კომპანია მკაცრად იცავს პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ეთიკის კოდექსს, რაც უზრუნველყოფს პატიოსნების, ობიექტურობისა და პროფესიული ქცევის პრინციპების დაცვას ყველა მიმართულებით.

Grant Thornton საქართველო, როგორც Grant Thornton International Ltd (GTIL)-ის სრულუფლებიანი წევრი ფირმა, ინარჩუნებს მმართველობით და სტრუქტურულ დამოუკიდებლობას, ამასთან სრულად იცავს GTIL-ის გლობალურ სტანდარტებს ხარისხის, ეთიკისა და პროფესიული სრულყოფილების მიმართულებით.

Grant Thornton International Ltd (GTIL) არის რეგისტრირებული ინგლისსა და უელსში. GTIL წარმოადგენს კოორდინაციის საერთაშორისო სტრუქტურას და თვითონ არ აწვდის მომსახურებას კლიენტებს.

GTIL და წევრი ფირმები არ არიან ერთმანეთის აგენტები, არ წარმოადგენენ ერთმანეთის სახელით ვალდებულებებს და არ არიან პასუხისმგებელნი ერთმანეთის ქმედებებსა თუ უმოქმედობაზე. წევრი ფირმები იყენებენ Grant Thornton-ის ბრენდს დამოუკიდებლად, საკუთარ ეროვნულ სახელთან ერთად.

მმართველობა

Grant Thornton საქართველო

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობენ მმართველი პარტნიორები – ვახტანგ ცაბაძე და პაატა შურღაია, რომელთაც მხარს უჭერს მენეჯმენტის კომიტეტი, რომელიც შედგება პარტნიორებისგან, დირექტორებისა და უფროსი მენეჯერებისგან.

მმართველი პარტნიორები პასუხისმგებელი არიან შემდეგზე:

- უზრუნველყონ, რომ კომპანიის ოპერაციები სრულად შეესაბამებოდეს ფირმის მიერ განსაზღვრულ სტრატეგიას; და
- მართონ კომპანიის საქმიანობას ისე, რომ იგი იყოს თანხვედრაში კლიენტების ინტერესებთან, თანამშრომელთა კეთილდღეობასთან და ფირმის ღირებულებებსა და ეთიკურ სტანდარტებთან.

ფირმის პროფესიული მომსახურებების მიმართულებებით პასუხისმგებლობები გაყოფილია მმართველ პარტნიორებს შორის და აუდიტსა და მარწმუნებელ მომსახურებებს ხელმძღვანელობს ვახტანგ ცაბაძე, ხოლო პაატა შურღაიას პასუხისმგებლობის სფეროა საბუღალტრო, საგადასახადიო და საკონსულტაციო მიმართულებები.

ფირმის ხარისხის მართვის სისტემაზე საბოლოო პასუხისმგებლობას იღებს ვახტანგ ცაბაძე, რომელიც არის რეგისტრირებული აუდიტორი, საზოგადოებრივი დაინტერესების პირთა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებით.

მენეჯმენტის კომიტეტი

მენეჯმენტის კომიტეტი ინიშნება მმართველი პარტნიორების მიერ და შედგება სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებისა და კომპანიის ძირითადი სოპერაციო დეპარტამენტების ხელმძღვანელებისგან.

მენეჯმენტის კომიტეტის პასუხისმგებლობა მოიცავს:

- კომპანიის ღირებულების შექმნის შესაძლებლობების კოორდინაციასა და რესურსების განაწილებას იმ მიმართულებებზე, სადაც მათი გამოყენება ყველაზე ეფექტიანია;
- შეთანხმებული ბიზნეს-გეგმების მომზადებასა და შესრულებას;
- მენეჯმენტის ინფორმაციის გადამოწმებასა და კომუნიკაციის პროცესების გაუმჯობესებას;
- დირექტორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურ შესრულებას კომპანიის ოპერაციების და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით;
- კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მონიტორინგს, მათ შორის შიდა კონტროლებისა და რისკების მართვის სისტემების შენარჩუნებასა და განვითარებას;
- და სხვა ფუნქციების შესრულებას, კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე.

მმართველობა

Grant Thornton International Limited (GTIL)

მმართველი საბჭო

მმართველი საბჭო წარმოადგენს GTIL-ის უმაღლეს ზედამხედველ ორგანოს, რომელიც ახორციელებს ორგანიზაციის საერთო მმართველობასა და ზედამხედველობას. საბჭო შედგება შემდეგი წევრებისგან: საბჭოს თავმჯდომარე; GTIL-ის აღმასრულებელი დირექტორი (CEO); ყველაზე დიდი წევრი ფირმების აღმასრულებელი დირექტორები; სხვა წევრი ფირმების აღმასრულებელი დირექტორები, რომლებიც არჩეულნი ან დანიშნულნი არიან იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ განეკუთვნებიან ყველაზე მსხვილ წევრ ფირმებს; და დამოუკიდებელი დირექტორები. საბჭო მიზნად ისახავს გეოგრაფიული მრავალფეროვნებისა და წარმომადგენლობის ბალანსის დაცვას, მათ შორის განვითარებადი ბაზრების ჩათვლით. მმართველი საბჭოს ძირითადი პასუხისმგებლობები მოიცავს:

- მონაწილეობა GTIL-ისა და Grant Thornton-ის გლობალური ქსელის სტრატეგიული განვითარების პროცესში;
- გლობალური სტრატეგიის დამტკიცება და მისი განხორციელების ზედამხედველობა;
- წევრობის საკითხების მართვა, მათ შორის ახალი წევრი ფირმების მიღება, წევრობის უფლებების დროებითი შეჩერება ან წევრის გამოყოფა ქსელიდან;
- საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა და მისი ანაზღაურების პირობების განსაზღვრა;
- GTIL-ის აღმასრულებელი დირექტორის (CEO) დანიშვნა, საქმიანობის შეფასება და ანაზღაურების დადგენა;
- GTIL-ის ბიუჯეტის და წევრი ფირმების წლიური შენატანების დამტკიცება;
- ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის მონიტორინგი;
- კორპორატიული და ოპერაციული რისკების მართვაზე ზედამხედველობა;
- ტექნოლოგიური და ინოვაციების სტრატეგიის კონტროლი;
- და საერთო მმართველობითი საკითხების ზედამხედველობა, მათ შორის საბჭოს შემადგენლობის, ეფექტიანობისა და შედეგიანობის პერიოდული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია წარმოადგენს აქტიურ და სტრატეგიულ როლს, რომლის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს, რომ საბჭო მოქმედებდეს კოორდინირებულად და ეფექტიანად, GTIL-ის აღმასრულებელი დირექტორის მხარდაჭერით, გლობალური სტრატეგიის განხორციელების მიზნით. ორი სრული ვადით ხელმძღვანელობის შემდეგ, ჯუდით სპრაიზერმა 2024 წლის ბოლოს დატოვა თავმჯდომარის თანამდებობა. ის თავდაპირველად დაინიშნა 2020 წლის 1 იანვრიდან და იყო GTIL-ის პირველი დამოუკიდებელი თავმჯდომარ. მარტინ გეჰი, რომელიც 2019 წლიდან მსახურობდა საბჭოს დამოუკიდებელ დირექტორად, 2025 წლის 1 იანვრიდან დაინიშნა საბჭოს თავმჯდომარედ. საბჭოს თავმჯდომარის როლი გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებს იმ გარემოს შექმნაში, რომელიც აუცილებელია მაღალი ეფექტიანობის მქონე საბჭოს ფუნქციონირებისთვის, მიზანმიმართულად ორიენტირებულის — Grant Thornton-ის გლობალური ქსელის სტრატეგიულ განვითარებაზე და გრძელვადიან პროგრესზე.

საბჭოს შემადგენლობა 2025 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

პიტერ ბოდენი
აღმასრულებელი დირექტორი

ნატალი ბოიოერი
კანადა

სლავკო ფილიპჩევი
ჩრდილოეთ მაკედონია და კოსოვო

რამონ გალსერანი
ესპანეთი

მარტინ გე
დამოუკიდებელი თავმჯდომარე

მალკომ გომერსალი
გაერთიანებული სამეფო

ადამ ნიკოლი
საფრანგეთი

საიდ ჯაჰანი
ავსტრალია

დენისე კომპანსი
დამოუკიდებელი წევრი

კევინ ლადნერი
კანადა

ლი ჰუიქი
ჩინეთი

დანიელ მარანაო
ბრაზილია

რონ მესენჯერი
აშშ

ჯიმ პეკო
აშშ

სტივენ ტენანტი
ირლანდია

ფლორენსე ტონდუ-მელიკ
დამოუკიდებელი წევრი

ლესლი ვან დენ ბრანდენი
ბელგია

ჰეიკე ვილანდ-ბლოსე
გერმანია

საბჭოს დამოუკიდებელი წევრები

საბჭოს დამოუკიდებელი წევრები უზრუნველყოფენ ფასეულ გარე ბიზნეს-მხედველობას საბჭოს განხილვებში, ზრდიან ქსელის პროფესიულ იმიჯს და ხელს უწყობენ საბჭოს საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფას.

დამოუკიდებელი საბჭოს წევრები ხელს უწყობენ ქსელის მიერ საჯარო ინტერესისადმი პასუხისმგებლობის გააზრებასა და დაცვას, აგრეთვე ფორმირებენ მის დამოკიდებულებას ხარისხის, რისკების მართვისა და მმართველობის საკითხების მიმართ.ისინი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქსელის სტრატეგიული მიზნებისა და ბაზარზე პოზიციონირების ეფექტიან განხორციელებაში. GTIL-ს გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ დამოუკიდებელი საბჭოს წევრების დანიშვნა და მათი მიმდინარე საქმიანობა შეესაბამებოდეს შესაბამის დამოუკიდებლობის წესებსა და მოთხოვნებს.

ამჟამად GTIL-ს ჰყავს სამი დამოუკიდებელი საბჭოს წევრი. ბოლო პერიოდში საბჭოს შემადგენლობას შეუერთდნენ ფლორენს ტონდუ-მელიკი (Florence Tondu-Mélique) და დენიზ კუპმანსი (Denise Koopmans), რომლებიც მუშაობენ საბჭოს თავმჯდომარე მარტინ გეჰთან (Martin Geh) ერთად, როგორც დამოუკიდებელი წევრები. დამოუკიდებელი საბჭოს წევრებს ფირმის მმართველობაში შემოაქვთ განსხვავებული ხედვები, გარე გამოცდილება და დამატებითი პერსპექტივა რისკების მართვის მიმართულებით, რითაც მნიშვნელოვნად აძლიერებენ საბჭოს ეფექტიანობას და სტრატეგიულ ხედვას.

მუდმივი კომიტეტები

საბჭოს მიერ განსაზღვრულია შვიდი მუდმივი კომიტეტი, რომლებიც ფლობენ შესაბამის უფლებამოსილებებსა და გადაწყვეტილების მიღების ძალას იმ საკითხებზე, რაც მათთვის საბჭოს მიერ დელეგირებულია.

სტრატეგიის კომიტეტი (Strategy Committee – SC): იძლევა რეკომენდაციებს გლობალური სტრატეგიის შემუშავების, შეთანხმებისა და განხორციელების საკითხებზე.

ბიუჯეტისა და აუდიტის კომიტეტი (Budget and Audit Committee – BAC): ახორციელებს ზედამხედველობას GTIL-ის ბიუჯეტზე და აუდიტის პროცესებზე, რათა უზრუნველყოს გლობალური სტრატეგიის წარმატებული შესრულება და GTIL-ის ფიდუციური ვალდებულებების დაცვა.

წევრი ფირმების საკითხთა კომიტეტი (Member Firm Matters Committee – MFMC): განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს გლობალური მენეჯმენტის გუნდის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებზე, რომლებიც ეხება წევრი ფირმების საკითხებს, მათ შორის წევრობის შეწყვეტას, საჩივრების განხილვას და წესებსა თუ შეთანხმებებში იმ ცვლილებებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს წევრ ფირმებზე.

კორპორატიული რისკების მართვის კომიტეტი (Enterprise Risk Management Committee – ERMC): პასუხისმგებელია იმაზე, რომ GTIL-სა და მის წევრ ფირმებში შენარჩუნებული იყოს შესაბამისი რისკების მართვის ჩარჩო და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქსელის მდგრადობასა და ანგარიშვალდებულებას.

ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კომიტეტი (Technology and Innovation Committee – TIC): ახორციელებს Grant Thornton-ის გლობალური ქსელის ტექნოლოგიური და ინოვაციური სტრატეგიის მმართველობასა და ზედამხედველობას, უზრუნველყოფს, რომ ყველა გლობალური ტექნოლოგიური და ინოვაციური პროექტი იყოს შეეთავსებული ქსელის კომერციულ მიზნებსა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

მმართველობის კომიტეტი (Governance Committee – GC): პასუხისმგებელია GTIL-ის მმართველობითი სტრუქტურების ეფექტიანი ფუნქციონირების, ზედამხედველობისა და შედეგიანობის უზრუნველყოფაზე, რათა ორგანიზაცია მოქმედებდეს გამჭვირვალედ და ეფექტიანად.

აღმასრულებელი დირექტორის ანაზღაურების კომიტეტი (CEO Compensation Committee – CEOCC): ასრულებს საბჭოს ფუნქციებს, რომლებიც დაკავშირებულია GTIL-ის აღმასრულებელი დირექტორის წლიური საქმიანობის შეფასებასთან და შესაბამის ანაზღაურებასთან; ამასთან, ამტკიცებს პოლიტიკებს, რომლებიც არეგულირებს CEO-ის ანაზღაურებისა და საქმიანობის პრინციპებს, და ახორციელებს ზედამხედველობას CEO-ის პროფესიული განვითარების გეგმებზე.

მუდმივი კომიტეტების არსებობა უზრუნველყოფს საბჭოს პასუხისმგებლობების უფრო ეფექტიან და შედეგიან შესრულებას, რადგან საშუალებას იძლევა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეტი მონაწილე და ექსპერტი ჩაერთოს საბჭოს საქმიანობაში.

ყოველი მუდმივ კომიტეტს ხელმძღვანელობს საბჭოს წევრის, ხოლო მისი შემადგენლობა მოიცავს - თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ საბჭოს წევრებით; კომიტეტებში ასევე შეიძლება შედიოდნენ სხვა შესაბამისი მენეჯერები და ექსპერტები, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის პროფესიულად დაბალანსებულობას.

მმართველთა საბჭოს სტრუქტურა

მმართველთა საბჭო

- მმართველობის კომიტეტი
- სტრატეგიის კომიტეტი
- ბიუჯეტისა და აუდიტის კომიტეტი
- წევრი ფირმების საკითხთა კომიტეტი
- კორპორატიული რისკების მართვის კომიტეტი
- ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კომიტეტი
- აღმასრულებელი დირექტორის ანაზღაურების კომიტეტი

GTIL-ის აღმასრულებელი დირექტორი

GTIL-ის აღმასრულებელი დირექტორი ინიშნება საბჭოს მიერ თავდაპირველად ხუთწლიანი ვადით, რომლის გაგრძელება შესაძლებელია კიდევ სამ წლამდე დამატებითი ვადით. 2017 წელს, საბჭომ დანიშნა პიტერ ბოდინი (Peter Bodin) - შვედეთის წევრი ფირმის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი - GTIL-ის აღმასრულებელ დირექტორად ხუთწლიანი ვადით, 2018 წლის 1 იანვრიდან. საბჭომ 2023 წლის 1 იანვრიდან პიტერ ბოდინი ხელახლა დანიშნა GTIL-ის აღმასრულებელ დირექტორად მეორე, სამწლიანი ვადით.

GTIL-ის აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია ორგანიზაციის საერთო ხელმძღვანელობასა და სტრატეგიულ მართვაზე. CEO-ის როლი მოიცავს გლობალური სტრატეგიული პრიორიტეტების შემუშავებას და მათი დამტკიცებისთვის საბჭოს წარდგენას, ასევე აღნიშნული პრიორიტეტების შესრულებაზე ზედამხედველობას.

აღმასრულებელი დირექტორი აგრეთვე პასუხისმგებელია გლობალური ხელმძღვანელობის გუნდის (Global Leadership Team – GLT) დაკომპლექტებაზე, საბჭოს თანხმობის საფუძველზე. GLT უზრუნველყოფს აღმასრულებელი დირექტორის მხარდაჭერას გლობალური სტრატეგიის განხორციელებაში და მის ეფექტიან შესრულებაში. CEO მჭიდროდ თანამშრომლობს GLT-სთან გლობალური პოლიტიკებისა და პროცედურების ფორმირების, შენარჩუნებისა და განხორციელების მიმართულებით, მათ შორის იმ პოლიტიკების მართვაში, რომლებიც არეგულირებს საერთაშორისო საქმიანობას აუდიტის, საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურების ხაზებში.

მმართველობა

გლობალური ხელმძღვანელობის გუნდი – GLT

გლობალური ხელმძღვანელობის გუნდი (GLT) შეიმუშავებს და წარმართავს გლობალური სტრატეგიის განხორციელებას, რომლის თავმჯდომარეც არის GTIL-ის აღმასრულებელი დირექტორი. GLT წარმოადგენს სრული განაკვეთით მოქმედ მენეჯმენტის გუნდს, რომელიც პასუხისმგებელია ქსელის ხელმძღვანელობაზე და გლობალური სტრატეგიის წარმატებულ რეალიზაციაზე ყველა მიმართულებით.

GLT-ის წევრები ერთმანეთში ყოფენ პასუხისმგებლობებს გლობალური განვითარების, მომსახურების ხაზების, ფუნქციური მიმართულებებისა და რეგიონალური მართვის მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს ამ პასუხისმგებლობების განაწილებას 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით.

GLT-ის ერთ-ერთი მთავარი როლი არის თანამშრომლობა წევრ ფირმებთან, რათა უზრუნველყოს გლობალური სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება და შესრულება.

Grant Thornton-ის ხედვაა „ვიყოთ ყველაზე მეტად დაფასებული ქსელი ჩვენს პროფესიულ სფეროში“ და სწორედ ეს პრინციპი განსაზღვრავს ჩვენი საქმიანობის ყველა მიმართულებას.

ჩვენი ქსელის „Go Beyond“სტრატეგია 2025 კონცენტრირებულია:

სტრატეგიული შესაძლებლობები

რისკების მართვა და ხარისხი

კულტუ რა

სტრატეგია განსაზღვრავს, თუ როგორ მიაღწევს Grant Thornton საკუთარ ხედვას და რა ქმედებებს განახორციელებს ამ მიზნის მისაღწევად - მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს საერთაშორისო ბიზნესის ზრდასა და დაცვას. ქსელის ყველა ინიციატივა და საქმიანობა იქნება მიმართული ამ მიზნის ირგვლივ, ხოლო მთავარი ამოცანა იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ ორგანიზაციას გააჩნდეს მყარი საბაზისო ინფრასტრუქტურა, რომელიც მისცემს საშუალებას ეფექტიანად მიაწოდოს მაღალი ხარისხის მომსახურება გლობალურ მასშტაბზე.

ქსელის სტრატეგიის განხორციელება დაფუძნებულია სტრატეგიულ ჩარჩოებზე, პრიორიტეტულ ინვესტიციებზე და ზრდის სტრატეგიებზე, რომლებიც მორგებულია იმ ბაზრების სპეციფიკაზე, სადაც Grant Thornton ოპერირებს და მიზნად ისახავს პოზიციების განმტკიცებას.

[5] Learn more about GTIL's global leadership team in the About Us section on the website. https://www.grantthornton.global/en/.

რისკების მართვა და დამოუკიდებლობა

რისკების მართვა

რისკების მართვა და მათი მინიმიზება წარმოადგენს Grant Thornton საქართველოს სტრატეგიული საქმიანობის ძირითად შემადგენელ ნაწილს და ასახავს ფირმის ერთგულებას მტკიცე ხარისხის მართვის სისტემის შენარჩუნებისადმი. ფირმის მმართველი გუნდი აქტიურად უწყობს ხელს კეთილსინდისიერებისა და ეთიკური ქცევის კულტურის განვითარებას, რაც თანმიმდევრულად აისახება მათ გადაწყვეტილებებში, ქმედებებსა და კომუნიკაციაში.

ხარისხისა და რისკების მართვის კომიტეტი (QRMC), რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი ხარისხის მონიტორინგის ლიდერი, ემილ ვასილიანი, ახორციელებს რისკების იდენტიფიცირებას ფირმის და მისი ჩართულობების სპეციფიკური გარემოებებისა და ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე. რისკების იდენტიფიცირების შემდეგ, მუშავდება შესაბამისი პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც მიზნად ისახავს ამ რისკების მართვას და რისკების მართვის მიდგომების ინტეგრირებას ფირმის ყველა შიდა ფუნქციაში - მათ შორის ადამიანური რესურსების, ფინანსებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებებში. კომიტეტი ასევე აქტიურად თანამშრომლობს დირექტორებსა და თანამშრომლებთან, რათა ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს შესაბამისი პოლიტიკებისა და პროცედურების ეფექტიანი განხორციელება. რისკების მართვის პოლიტიკები და პროცედურები მოიცავს ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორიცაა: დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ახალი კლიენტის აყვანა და ხელახალი აყვანის პროცედურები, და ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული მექანიზმები.

ახალი კლიენტების აყვანა და ხელახალი აყვანა წარმოადგენს ფირმის რისკების მართვის სტრატეგიის მთავარ ბურჯს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პროცესს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, დამტკიცებამდე გარკვეული გარიგებები, რომლებიც აკმაყოფილებს GTIL-ის მიერ განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე კრიტერიუმს, ეგზავნება გლობალურ მიმოხილვის გუნდს დამტკიცების მიზნით. საერთო ჯამში, ფირმა მუდმივად ფოკუსირებულია რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესებაზე - მათ შორის ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა:

- სისტემებისა და პროცესების განვითარება, რომლებიც გააუმჯობესებს ახალი კლიენტის აყვანისა და ხელახალი აყვანის გლობალური განხილვისა და დამტკიცების პროცესს;
- დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა უფრო ზუსტ ანალიზს ჯგუფების სტრუქტურებისა და საბოლოო ბენეფიციარი მფლობელობის უკეთ გასაგებად.

დამოუკიდებლობა

GTIL-ს გააჩნია ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც ეფუძნება IESBA-ის ეთიკის კოდექსის მოთხოვნებს და, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს ასევე აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) და საჯარო აუდიტორული ზედამხედველობის საბჭოს (PCAOB) მოთხოვნებს. აღნიშნული პოლიტიკები საჭიროებისამებრ დამატებულია ან მოდიფიცირებულია ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად, მათ შორის ICAEW-ის (ინგლისისა და უელსის დარეგისტრირებული აუდიტორების ინსტიტუტის) და FRC-ის (ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს) მოთხოვნების გათვალისწინებით.ეს მოთხოვნები მკაფიოდ კომუნიცირდება ფირმის ხარისხის მართვის სახელმძღვანელოში (Quality Management Manual) და დამატებით გამტკიცებულია ტრენინგებისა და შიდა კომუნიკაციების საშუალებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტანდარტებში ან პოლიტიკებში ცვლილებები ხორციელდება.

ეთიკა და დამოუკიდებლობა

დამოუკიდებლობისა და ეთიკის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ფირმამ დანიშნა ბექა გოგოლაური როგორც ეთიკისა და დამოუკიდებლობის საკითხებზე პასუხისმგებელი დირექტორი. ბექა არის დიდი გამოცდილების მქონე აუდიტორი, რეგისტრირებული SARAS-ის მიერ. ბექასთან კონსულტაცია აუცილებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩნდება ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის საფრთხე, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა კორპორატიული ფინანსები ან საგადასახადო კონსულტაციები აუდიტის კლიენტებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტანდარტების სრული დაცვა.

ჩვენი თანამშრომლების შთაგონება ეთიკური და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვისკენ იწყება მმართველი გუნდის მაგალითიდან. დირექტორები აცნობიერებენ, რომ მათი ქცევა და გადაწყვეტილებები გადამწყვეტ როლს ასრულებს მაღალი ეთიკური გარემოსა და კულტურის შენარჩუნებაში. დამატებით, ფირმაში მოქმედი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ემსახურება ეთიკური სტანდარტების მხარდაჭერას, რეგულარულად მოწმდება შიდა მონიტორინგის მკაცრი პროცედურების ფარგლებში. ბექა გოგოლაურს აქვს პირდაპირი კომუნიკაციის ხაზი მმართველ პარტნიორთან და პასუხისმგებელია ფირმის მიერ რეგულატორების მიერ განსაზღვრული ეთიკური მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ფირმაში მოქმედებს რამდენიმე სპეციალური კონტროლი, მათ შორის: აუდიტის პარტნიორების როტაცია; დეტალური პროცედურების დაცვა ინტერესთა შესაძლო კონფლიქტების იდენტიფიცირებისთვის აუდიტის გარეშე მომსახურების მიღებამდე; პოლიტიკების გამოყენება, რომლებიც არეგულირებს პარტნიორებისა და თანამშრომლების კლიენტებთან თანამშრომლობას ფირმიდან წასვლის შემდეგ.გარდა ამისა, ყველა დირექტორი და მენეჯერი ინარჩუნებს რეგისტრირებულ საინვესტიციო პოზიციების რეალურ დროში აღრიცხვას გლობალურ დამოუკიდებლობის სისტემაში (Global Independence System – GIS, იხილეთ ქვემოთ). ხოლო ხარისხისა და რისკების მართვის კომიტეტი (QRMC) უზრუნველყოფს, რომ ყველა შესაძლო კონფლიქტი დროულად იყოს იდენტიფიცირებული და მოგვარებული. ჩვენს ფირმას აქვს კონსულტაციის ძლიერი კულტურა, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების შესანარჩუნებლად. ეს მიდგომა განსაკუთრებულად წარმოიშობა აუდიტის პარტნიორობისა და დირექტორებთან ტექნიკურ გასაუბრებებში. ყოველწლიურად ფირმა ატარებს დამოუკიდებლობის შესაბამისობის შემოწმებას, რომლის ფარგლებშიც შერჩეული თანამშრომლები მოწმდებიან GIS-ის წესებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ბოლო შემოწმების შედეგად არცერთი დარღვევა არ გამოვლენილა, და ფირმამ 2024 წლის განმავლობაში სრულად შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, როგორც ამას პროფესიული სტანდარტები მოითხოვს.

რეგულაციებისა და სტანდარტების რაოდენობის ზრდასთან ერთად და იმ ფონზე, როდესაც Grant Thornton Georgia სულ უფრო მეტ მომსახურებას უწევს საერთაშორისო კლიენტებს, დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა რჩება ერთ-ერთ უმაღლეს პრიორიტეტად. GTIL-ის დამოუკიდებლობის გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს გლობალური რისკების მართვისა და დამოუკიდებლობის ხელმძღვანელი, ეხმარება წევრ ფირმებს ამ მოთხოვნების სწორად გაგებასა და განხორციელებაში. გუნდი რეგულარულად გადახედავს პოლიტიკებსა და პროცედურებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი სრულად იცავს დამოუკიდებლობის წესებისა და სტანდარტების დარღვევის რისკისგან.მიუხედავად იმისა, რომ ქსელმა გააფართოვა თავისი ბიზნესმოდელი და მოიცვა ალტერნატიული პრაქტიკის სტრუქტურები (APS), მათ შორის კერძო კაპიტალით დაფინანსებული ფირმებიც, ყველა წევრი ფირმა, საკუთრების ფორმის მიუხედავად, ექვემდებარება იგივე წევრობით ვალდებულებებს, მათ შორის დამოუკიდებლობის მოთხოვნებსაც.

GTIL-ის დამოუკიდებლობის გუნდის ფუნქციები მოიცავს:

- პოლიტიკების, სახელმძღვანელოებისა და ტრენინგების შემუშავებას, რომლებიც უკავშირდება დამოუკიდებლობის საკითხებს;
- გლობალური დამოუკიდებლობის სისტემის (Global Independence System – GIS) ზედამხედველობას, შესაბამისობის მონიტორინგსა და მხარდაჭერას;
- საერთაშორისო ურთიერთობების შემოწმების პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ გარანტიას, რომ მომსახურება არ მიეწოდება წევრი ფირმის კლიენტს ან მის დაკავშირებულ ერთეულს სათანადო კონსულტაციის გარეშე (ჩართულობის გუნდებთან ან სხვა შესაბამის მხარეებთან);
- და დამოუკიდებლობის კონსულტაციას, როდესაც საქმე ეხება რთულ საერთაშორისო რეგულატორულ ან ეთიკურ საკითხებს.

ურთიერთობების შემოწმება

ობიექტურობისა და დამოუკიდებელი აზროვნების შენარჩუნება ფირმისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია, რადგან სწორედ ეს უზრუნველყოფს ჩვენი პროფესიული რეპუტაციის დაცვასა და საზოგადოების ნდობას. Grant Thornton საქართველოს გააჩნია დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტების შემოწმების ძლიერი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს შესაძლო კონფლიქტების იდენტიფიცირებას შესაძლო ყველაზე ადრეულ ეტაპზე და მათ დროულად, სათანადო წესით მოგვარებას. პოტენციური კონფლიქტის წყაროებად შეიძლება იქცეს ისეთი შემთხვევები, როგორიცაა: დამატებითი მომსახურების გაწევა არსებულ აუდიტის კლიენტებისთვის; ახალი კლიენტების მიღება; ფირმისა და თანამშრომლების მიერ განხორციელებული ინვესტიციები.

აუდიტისა და მსგავსი გარიგებების შემთხვევაში, სადაც დამოუკიდებლობა წარმოადგენს საჯარო ინტერესის საკითხს, პროცედურები კიდევ უფრო მკაცრია. ფირმა უზრუნველყოფს, რომ ყოველი ახალი აუდიტის გარიგების დაწყებამდე დირექტორებმა განახორციელონ შემოწმება იმის დასადგენად, ყოფილა თუ არა ადრე გაწეული სხვა მომსახურება, რომელიც შეიძლება დამოუკიდებლობაზე ზეგავლენას ახდენდეს. გარდა ამისა, თითოეული აუდიტის ფაილზე გარიგების გუნდი ვალდებულია ოფიციალურად დაადასტუროს საკუთარი დამოუკიდებლობა. ყველა საზოგადოებრივი დაინტერესებული პირის შემთხვევაში, ფირმა აუდიტის კომიტეტს აცნობს სხვა მიწოდებულ მომსახურებებს როგორც დაგეგმვის, ისე დასკვნის ეტაპზე. GTIL თავის მხრივ ავალდებულებს ყველა წევრ ფირმას, დანერგოს დამოუკიდებლობის დაცვის ერთიანი პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც მოიცავს მოთხოვნას, შეიქმნას და რეგულარულად განახლდეს იმ კომპანიების სია, რომლებიც „შეზღუდულად“ მიიჩნევა აუდიტორული ურთიერთობის გამო. ამ კომპანიების დეტალური ინფორმაცია ინახება GTIL-ის მიერ მართვად გლობალურ შეზღუდულ სიაში (Global Restricted List).

ყველა წევრი ფირმის პროფესიონალს ამ სიაზე წვდომა აქვს GTIL-ის შიდა ქსელის პლატფორმით – GT Connect. გლობალური შეზღუდული სია წარმოადგენს სავარაუდო მითითების წყაროს, როდესაც ფირმა განიხილავს საჯარო კომპანიებისთვის აუდიტის გარეთ სხვა მომსახურების მიწოდების შესაძლებლობას. თუ პოტენციური კლიენტი ფიგურირებს ამ სიაში, აუცილებელია აუდიტორისთან კონსულტაცია, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა დამოუკიდებლობის საფრთხე და შესაძლებელია თუ არა შესაბამისი მომსახურების გაწევა უსაფრთხოდ და დაშვებულად. გლობალური შეზღუდული სია რეგულარულად განიხილება და განახლდება GTIL-ის მიერ.

გარდა ამისა, GTIL-მა დანერგა დამოუკიდებლობის ავტომატიზებული მონიტორინგის სისტემა – GIS (Global Independence System). ყველა პარტნიორი, დირექტორი და კლიენტთან მომუშავე მენეჯერი ვალდებულია GIS სისტემაში შეინარჩუნოს ინფორმაცია იმ საჯაროდ მოვაჭრე ფასიანი ქაღალდების შესახებ, რომლებშიც ფლობს ფინანსურ ინტერესს. GIS სისტემა ადარებს ამ ინტერესებს გლობალურ შეზღუდულ სიას და საჭიროების შემთხვევაში ავტომატურად აფრთხილებს შესაბამის პროფესიონალს, ფირმას და ეროვნული შესაბამისობის ოფიცერს, თუ აღმოჩნდება, რომ პროფესიონალის მიერ ფლობადი ფასიანი ქაღალდი შედის შეზღუდულ სიაში. სისტემა უზრუნველყოფს მექანიზმს, რომელიც ეხმარება პროფესიონალსა და შესაბამისობის ოფიცერს განსაზღვრონ, შეიძლება თუ არა აღნიშნული ფასიანი ქაღალდის შენარჩუნება არსებული გარემოებების გათვალისწინებით. GTIL-ს ასევე შემუშავებული აქვს პოლიტიკა, რომელიც ადგენს ერთიან სტანდარტიზებულ მიდგომას ინტერესთა კონფლიქტებისა და დამოუკიდებლობის საფრთხეების („relationship checks“) შემოწმების პროცესისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც კლიენტს ან პოტენციურ კლიენტს აქვს საერთაშორისო ოპერაციები. აღნიშნული მოთხოვნები დეტალურადაა აღწერილი წევრი ფირმების ვალდებულებებში (Member Firm Obligations – MFOs).

ახალი კლიენტის აყვანა და არსებულ კლიენტთან ურთიერთობის გაგრძელება

ჩვენი ყველა სავალდებულო აუდიტის კლიენტი ექვემდებარება კატეგორიზაციის პოლიტიკას, რომლის მიზანია უზრუნველყოს, რომ თითოეულ გარიგებაზე გამოყენებული იყოს შესაბამისი რისკების მართვის პროცედურები. კატეგორიზაციის სისტემა გამოიყენება ძირითადი კონტროლების განსაზღვრისთვის, მათ შორის:

- მოთხოვნა GTIL-ის Key Assurance Assignment-ის (KAA) დამტკიცების მიღებისა ახალი ან მაღალი რისკის მქონე კლიენტების მიღებამდე და მათთან ურთიერთობის გაგრძელებამდე;
- მოთხოვნა, რომ აუდიტის პარტნიორის როლი და („on-site“) ფუნქციები შესრულდეს მხოლოდ იმ გუნდის წევრების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია;
- საჭიროება, დანიშნულ იქნას მიმომხილველი პარტნიორი (review partner) შესაბამისი გამოცდილებით გარკვეული კატეგორიის აუდიტებისთვის;
- მოთხოვნა ტექნიკური მიმოხილვების (technical reviews) ჩატარებისათვის განსაზღვრული ტიპის აუდიტების შემთხვევაში.

ფირმა თანამშრომლობს მხოლოდ იმ კლიენტებთან, რომელთა მომსახურებაც შეუძლია მაღალპროფესიული სტანდარტების დაცვით, საჭირო რესურსების, უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით. კლიენტის აყვანისას ყოველთვის ტარდება შეფასება, რათა დადგინდეს, რომ გარიგება არ დააზარალებს ფირმის დამოუკიდებლობას, ობიექტურობას ან კეთილსინდისიერებას. ეს შეფასება ხორციელდება კლიენტის გარიგების საწყის ეტაპზე, მჭიდრო თანამშრომლობით გარიგების გუნდთან ერთად.

სწავლება და პროფესიული განვითარება

GTIL-მა შეიმუშავა სწავლისა და პროფესიული განვითარების მრავალმხრივი პროგრამები და სასწავლო მასალები, რომლებიც განსაკუთრებულად ფოკუსირებულია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. სწავლებისა და განვითარების ინიციატივებს ხელმძღვანელობენ გლობალური მომსახურების მიმართულების ლიდერები, ხოლო პროცესს მხარს უჭერს მეთოდოლოგიისა და სწავლების საკოორდინაციო კომიტეტი (Methodology and Learning Steering Committee), რომელშიც წარმოდგენილია ქსელის ათი ყველაზე დიდი ფირმა. ეს ერთობლივი მიდგომა უზრუნველყოფს ცოდნის სტანდარტიზაციას, პროფესიული უნარების გაღრმავებას და ხარისხის კულტურის გლობალურ გაძლიერებას.

სწავლება და პროფესიული განვითარება

ჩვენი ხარისხისა და რისკების მართვის სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ადამიანური კაპიტალში უწყვეტი ინვესტირება - თანამშრომელთა სწავლება და პროფესიული განვითარება. ფირმაში უწყვეტი განვითარების მნიშვნელობას მხარს უჭერს თითოეული მომსახურების მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესზე დაფუძნებულ (on-the-job) პრაქტიკულ ტრენინგებს და შესაბამის სისტემურ სწავლებას ყველა ახალი თანამშრომლისათვის. ჩვენი ადამიანების განვითარება წარმოადგენს ფირმის წარმატების და მაღალი ხარისხის შენარჩუნების საფუძველს ყველა მომსახურების მიმართულებით. ჩვენი განვითარების ფილოსოფია ეფუძნება არა მხოლოდ ფორმალურ სასწავლო პროგრამებს, არამედ პრაქტიკულ სწავლას, ყოველდღიურ მენტორინგს და უკუკავშირის კულტურას, რომელიც წახალისებულია როგორც თანამშრომლების, ისე ხელმძღვანელობის მხრიდან. ყველა თანამშრომელი განსაზღვრავს პირად მიზნებს, რომლებიც ეთანხმება ფირმის საერთო სტრატეგიას - ვიყოთ ბაზრის ლიდერები არჩეულ საქმიანობის სფეროებში. უწყვეტი განვითარების კულტურის მხარდასაჭერად ტარდება წლიური საქმიანობის შეფასებები (performance reviews) და წახალისებულია უკუკავშირის მიღება ყოველი გარიგების დასრულების შემდეგ. თანამშრომელთა ანაზღაურება და აღიარება ეფუძნება მათ ინდივიდუალურ შედეგებსა და წვლილს - როგორც კლიენტთა მომსახურებაში, ისე შესაბამის მომსახურების მიმართულებებში და მთლიანად ფირმის განვითარებაში. ჩვენი People & Culture მენეჯერი უზრუნველყოფს, რომ ყველა ზემოაღნიშნული პროცესი განხორციელდეს თანმიმდევრულად, სამართლიანად და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში. ეს მიდგომა აძლიერებს ჩვენს ვალდებულებას, რომ ფირმამ იმოქმედოს უმაღლესი პროფესიონალიზმით, ხოლო ხარისხი იყოს ჩვენი საქმიანობის ცენტრალური ღირებულება.

უწყვეტი პროფესიული განვითარება

ჩვენ სრულად ვართ ერთგულნი იმის უზრუნველყოფისადმი, რომ ჩვენს თანამშრომლებს გააჩნდეთ ის უნარები, ცოდნა და ექსპერტიზა, რაც აუცილებელია კლიენტებისთვის მაღალი ხარისხის და ტექნიკურად გამართული მომსახურების მიწოდებისთვის.

ყველა პარტნიორი და სერთიფიცირებული თანამშრომელი ვალდებულია მუდმივად განაახლოს ცოდნა პროფესიული სტანდარტების, ფირმის შიდა რისკების მართვის, ეთიკისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

სპეციალიზებულ დისციპლინებში მოქმედი თანამშრომლები - მათ შორის სავალდებულო აუდიტის სფეროში მომუშავეები ვალდებულნი არიან გაიარონ სავალდებულო ტრენინგები, რომელთა შესრულება აქტიურად კონტროლდება.

შიდა დონეზე, ფირმა თანამშრომლებს სთავაზობს ტექნიკურ რესურსებზე და მხარდაჭერაზე წვდომას, რომელიც მოიცავს: ტექნიკურ განახლებებსა და ცნობარ მასალებს; სასწავლო სემინარებსა და ვორკშოფებს; პროფესიული და პიროვნული განვითარების კურსებს. ამ მიდგომით ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ყველა თანამშრომელი მუდმივად იყოს ინფორმირებული, კვალიფიციური და მზად პროფესიული გამოწვევების შესაფერისად საპასუხოდ, რაც ხარისხის შენარჩუნების საფუძველია ჩვენს საქმიანობაში.

აუდიტის მთავარი პარტნიორებისა და პერსონალის როტაცია

GTIL-ს გააჩნია პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც შეესაბამება ეთიკის სტანდარტების მოთხოვნებს, რაც სავალდებულოა ფირმის ყველა აუდიტორული გარიგებისთვის. აღნიშნული მოთხოვნები ზღუდავს იმ თანმიმდევრული წლების რაოდენობას, რომლის განმავლობაშიც პარტნიორებსა და აუდიტის გუნდის მთავარ წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ერთსა და იმავე კლიენტის აუდიტში. გარიგების ხელმძღვანელები და სხვა უფროსი წევრები ვალდებულნი არიან შეიცვალონ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ - ეს ვადა განისაზღვრება მათი როლისა და აუდიტირებადი ერთეულის ტიპის მიხედვით. აღნიშნული წესები ეფუძნება შესაბამის აუდიტზე მოქმედ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებს (IESBA International Code of Ethics), რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, განსაზღვრავს პარტნიორებისა და გუნდის წევრთა მაქსიმალურ ჩართულობის პერიოდს და აუცილებელ განახლების ციკლს.

	ვადა (წლები)		გაცხრობის პერიოდი (წლები)	
როლი	**სდპ/ დალისტული**	**არა-სდპ კლიენტები**	**სდპ/ დალისტული**	**არა-სდპ კლიენტები**
გარიგების ხელმძღვანელი	**7**	**10**	**5**	**5**
გარიგების ხარისხის მიმოხილველი	**7**	**10**	**3**	**3**
აუდიტის დირექტორი	**7**	**10**	**2**	**2**

აუდიტის ხარისხი

აუდიტის ხარისხის მართვის სისტემები

ჩვენი მკაცრი და სტრუქტურირებული ხარისხის მართვის სისტემა უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელმა ნათლად გაიაზროს საკუთარი როლი მაღალი ხარისხის სამუშაოს შესრულებაში და იმ მაღალი სტანდარტების მიღწევაში, რომლებიც ჩვენ თავად გვაქვს დასახული - იმ სტანდარტების, რომელთაც ჩვენი კლიენტები ელიან ჩვენგან.ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების შემთხვევაში, სადაც ჩვენი დამოუკიდებლობა და სამუშაოს ხარისხი კრიტიკულია - არა მხოლოდ კლიენტებისთვის, არამედ საზოგადოებისა და რეგულატორებისთვისაც.

ამ მიზნით, ჩვენ ჩამოვაყალიბეთ დაცვითი მექანიზმები და შიდა პროცესები, რომლებიც არეგულირებს აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგების პარტნიორების დანიშვნებს, ასევე დირექტორებისა და თანამშრომლების დამოუკიდებლობას, მათ შორის:

- ტექნიკური და პროცედურული სახელმძღვანელოები, რომლებიც უზრუნველყოფს სამუშაოს მუდმივად მაღალი სტანდარტით შესრულებას;
- პარტნიორებისა და თანამშრომლების სწავლება და განვითარება (მათ შორის ინტეგრაციისა და შეფასების პროცესები);ხ
- არისხის მართვის პროცედურები, რათა ყოველი გარიგება აკმაყოფილებდეს საჭირო სტანდარტებსა და ხარისხის დონეს;
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, რომელიც მოიცავს როგორც რეტროსპექტულ, ასევე მიმდინარე შემოწმებებს, რათა მენეჯმენტმა მიიღოს რწმუნება, რომ პროცედურები ადგილზეა, ეფექტიანად მუშაობს და იძლევა საჭირო შედეგს.

ჩვენი აუდიტის, მარწმუნებელი და ფინანსური ანგარიშგების ხარისხის მართვის მიდგომა ეფუძნება რამდენიმე ძირითად პრინციპს:

- ეთიკა და კეთილსინდისიერება – ვმუშაობთ მხოლოდ იმ კლიენტებთან, რომლებიც ავლენენ კეთილსინდისიერებას და რომელთა მომსახურებასთან დაკავშირებული რისკები მისაღებად მიიჩნევა;
- მტკიცე, რისკზე დაფუძნებული აუდიტის მიდგომა, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან რესურსებს აუდიტის ხარისხის, კონსულტაციისა და ტექნიკური სწავლების უზრუნველსაყოფად;
- პარტნიორებისა და თანამშრომლების პროფესიული უნარები და პიროვნული თვისებები;
- კონსულტაციური კულტურა, სადაც პარტნიორები და თანამშრომლები ყოველთვის წახალისებულნი არიან — და ზოგიერთ შემთხვევაში ვალდებულებიც — მიმართონ კონსულტაციას რთული საკითხებისას;
- ობიექტურობა და დამოუკიდებლობა – ფირმაში ყველა აცნობიერებს, რომ ჩვენი მრავალწლიანი რეპუტაცია დამოკიდებულია ჩვენს სამუშაოს ხარისხზე და იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ვიღებთ.

აღნიშნული პროცესები ყოველწლიურად მოწმდება შიდა ხარისხის გადახედვის პროგრამის ფარგლებში.

ამ ფუნქციის მხარდაჭერის მიზნით, ფირმამ დააარსა ხარისხისა და რისკების მართვის კომიტეტი (Quality and Risk Management Committee – QRMC), რომლის მიზანია ფირმის ხარისხის მართვის სისტემაზე ზედამხედველობა და საერთაშორისო ხარისხის მართვის სტანდარტის (ISQM 1) ეფექტიანი დანერგვის უზრუნველყოფა.

QRMC-ის ძირითადი ფუნქციებია:

- ფირმის რისკების შეფასების პროცესის განხორციელება და მონიტორინგი;ფირმის ხარისხის მიზნების განსაზღვრა, მათ შორის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საჭირო ცვლილებების ჩათვლით;
- რისკების იდენტიფიცირება და პრიორიტეტების განსაზღვრა;გამოვლენილი რისკებისადმი შესაბამისი რეაგირების ზომების განსაზღვრა.

ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა სრულად შეესაბამება საერთაშორისო ხარისხის მართვის სტანდარტს ISQM 1, რომელიც ეხება აუდიტის, მიმოხილვების და სხვა მარწმუნებელი ან დაკავშირებული მომსახურების შესრულებას.

ეს სისტემა უზრუნველყოფს, რომ ჩვენი კლიენტები, GTIL, წევრი ფირმები და ადგილობრივი რეგულატორი (SARAS) ჰქონდეთ გონივრული რწმუნება, რომ ჩვენი თანამშრომლები იცავენ შესაბამის პროფესიულ სტანდარტებს და GTIL-ის პოლიტიკებსა და პროცედურებს.

გარდა ამისა, ფირმის აუდიტები ექვემდებარება პერიოდულ გარე ხარისხის შემოწმებას GTIL-ის მიერ, Grant Thornton Assurance Review (GTAR) პროგრამის ფარგლებში, და ასევე რეგულარულ გარე ინსპექტირებას SARAS-ის მიერ, როგორც ფირმის კანონით განსაზღვრული ვალდებულების ნაწილს.

შემოწმების შედეგები და დაკვირვებები ეცნობება როგორც მთლიან აუდიტის დეპარტამენტს, ისე კონკრეტულ გუნდებს, რათა ყველა აღიქვან გამოცდილება და შენიშვნა გაითვალისწინონ და ინტეგრირდეს უწყვეტი გაუმჯობესების პროცესში.

შიდა მონიტორინგი

ჩვენი შიდა მონიტორინგის პროგრამა ტარდება უწყვეტად, რათა უზრუნველყოს, რომ ხარისხთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი დროულად იქნას აღმოჩენილი და შესაბამისად მოგვარებული, ხოლო უწყვეტი გაუმჯობესების მიზანი რეალურად მიღწევადი იყოს. შემოწმებები მიზნად ისახავს აუდიტისა და მარწმუნებელ დეპარტამენტში განხორციელებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას, რაც მოიცავს როგორც მარწმუნებელ მომსახურებას, ისე ფინანსური სექტორისა და კორპორაციულ აუდიტებს. გადახედვები მოიცავს შემდეგ მომსახურების მიმართულებებს: აუდიტი, კონსულტაცია, საგადასახადო მომსახურება.

Grant Thornton Georgia სრულად არის ერთგული მაღალი სტანდარტის აუდიტორული მუშაობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისადმი.

ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზა არის ხარისხის მართვის სისტემის რეგულარული გადახედვა, რაც მოიცავს როგორც ფირმის ძირითადი კონტროლების შეფასებას, ისე დასრულებული ფაილების გადახედვას — რათა დადგინდეს შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტებთან. წლიური გადახედვები ტარდება აუდიტის კლიენტების პორტფელზე როტაციის პრინციპით, შესაბამისი შერჩევით შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ინდუსტრია / სექტორი;
- გარიგების ხელმძღვანელი;
- ჰონორარის ოდენობა;
- რისკის დონე;
- გარიგების დაწყების წელი;
- მომსახურების მიმართულება.

ჩვენი ფირმის ყველა კლიენტთან მომუშავე მიმართულებაში გამოყენებულია მსგავსი ხარისხის კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იყოს რეპუტაციის დაცვა და გამყარება.

ხარისხის მონიტორინგის პროგრამა მტკიცედ არის ჩამოყალიბებული და მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- სტანდარტიზებული მიდგომის გამოყენება, რომელიც შემუშავებულია GTIL-ის მიერ, რაც უზრუნველყოფს მეთოდოლოგიის თანმიმდევრულობას ყველა წევრ ფირმაში;
- წლიური გადახედვები ტარდება ხარისხის მონიტორინგის ლიდერის ხელმძღვანელობით, რათა უზრუნველყოს პროცესის ობიექტურობა და თანმიმდევრულობა ყველა მონაწილე პირის მხრიდან;
- მიმომხილველები ინიშნება მათი დამოუკიდებლობის, უნარების, ინდუსტრიული გამოცდილებისა და პროფესიული კომპეტენციის საფუძველზე;
- იმ შემთხვევაში, თუ დეფიციტები ან ხარვეზები იდენტიფიცირდება, აუდიტის ხელმძღვანელი ვალდებულია შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა აღმოჩენილი საკითხების აღმოსაფხვრელად;
- აუდიტის ხარისხის მიმოხილვებიდან წამოსული თემები ეცნობება მთელ აუდიტორულ დეპარტამენტს ტრენინგებისა და ტექნიკური განახლებების საშუალებით;
- აღნიშნულ თემებზე გაძლიერდება ყურადღება მომდევნო შემოწმების პროგრამებში, რათა შეფასდეს გაუმჯობესების მასშტაბი;
- სიღრმისეული მიზეზების ანალიზი (Root Cause Analysis) ტარდება ყველა მნიშვნელოვანი ხარვეზის შემთხვევაში და შემუშავდება შესაბამისი სამოქმედო გეგმები, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი გამეორება.

აუდიტის ხარისხის საერთაშორისო მონიტორინგი

GTIL-ის სპეციალური გუნდი პასუხისმგებელია გლობალური აუდიტისა და მაარწმუნებელი მომსახურების ხარისხის მონიტორინგის პროგრამის — GTAR (Grant Thornton Assurance Review) — მართვაზე.

GTAR-ის პროცესი აფასებს თითოეული წევრი ფირმის: შიდა ხარისხის მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობას; პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობას; გლობალური აუდიტისა და მარწმუნებელი პოლიტიკებისა და პროცედურების შესრულებას; და სხვა რისკზე დაფუძნებულ კრიტერიუმებს, რომლებიც დაკავშირებულია ხარისხის უზრუნველყოფასთან.

როგორც წესი, თითოეული წევრი ფირმა გადის GTAR-ის მიმოხილვას სამწლიანი ციკლით.ინსპექტირებებს ატარებენ სხვა წევრი ფირმების დამოუკიდებელი და კვალიფიცირებული პარტნიორები და მენეჯერები, გლობალური აუდიტის ხარისხის მართვის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით. GTIL-ის გლობალური მონიტორინგის სისტემა აძლიერებს მოთხოვნას, რომ ყველა წევრ ფირმას უნდა გააჩნდეს ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ:სწორი ადამიანები,სწორი ინსტრუმენტებით,და სწორი მეთოდოლოგიის გამოყენებით ახორციელებენ აუდიტის პროცესს, ხარისხის მაღალი სტანდარტების სრული დაცვით.

GTAR (Grant Thornton Assurance Review) პროგრამა აფასებს, რამდენად აკმაყოფილებენ წევრი ფირმები გლობალურ სტანდარტებსა და ხარისხის მოთხოვნებს.

შეფასება მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- პროფესიული აუდიტისა და მარწმუნებელი სტანდარტების შესაბამისობა;
- გლობალური აუდიტისა და მარწმუნებელი მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც მინიმუმ უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო აუდიტის სტანდარტებს (ISA);
- აუდიტორული ანგარიშების შესაბამისობა გარემოებებთან და მტკიცებულებებთან;
- საერთაშორისო ეთიკისა და ხარისხის მართვის პოლიტიკების დაცვა;
- აუდიტის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების დაცვა;
- ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის დიზაინი და განხორციელება;
- სიღრმისეული მიზეზების იდენტიფიცირება (Root Cause Analysis) მნიშვნელოვანი შენიშვნების შემთხვევაში;
- წინა ინსპექტირებიდან მომდინარე სამოქმედო გეგმების შესრულება;
- გლობალური რისკების მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების შესრულება.

Grant Thornton Georgia-სთვის ბოლო GTAR-ის შემოწმება დასრულდა 2025 წლის სექტემბერში. შემოწმების შედეგად, ფირმის აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც „შესაბამისად შემუშავებული და განხორციელებული“, რაც იძლევა გონივრულ რწმუნებას, რომ ფირმა სრულად იცავს მოქმედ პროფესიულ სტანდარტებსა და GTIL-ის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტით.

გარე მონიტორინგი

SARAS აქტიურად ახორციელებს აუდიტორული პროფესიის მონიტორინგს საქართველოში, მათ შორის ხარისხის პერიოდულ შემოწმებებს — სდპ აუდიტორებისთვის (PIE auditors) ყოველ 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო დანარჩენი აუდიტორებისთვის — ყოველ 6 წელიწადში ერთხელ.

Grant Thornton Georgia-მ SARAS-ის რეგულარული შემოწმებები უკვე გაიარა სამჯერ — 2017, 2020 და 2023 წლებში, და წარმატებით შეინარჩუნა სდპ აუდიტორის სტატუსი.

ამჟამად ფირმა არის მხოლოდ 15 ფირმიდან ერთ-ერთი საქართველოში, რომელსაც ეს სტატუსი გააჩნია (სულ ქვეყანაში რეგისტრირებულია 260-ზე მეტი აუდიტორული კომპანია).

SARAS ახორციელებს აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრის მართვას, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე: https://www.saras.gov.ge/en/Companies

აუდიტორული ფირმები SARAS-ის მიერ იყოფა კატეგორიებად, რაც ეფუძნება ხარისხის შემოწმების შედეგებს. სხვადასხვა კატეგორიას განსხვავებული უფლებამოსილება აქვს.

2024 წლის ივნისამდე საქართველოში მოქმედებდა აუდიტორული ფირმების ხუთსაფეხურიანი კლასიფიკაცია, თუმცა აღნიშნულ თვეში შეიცვალა კატეგორიზაციის პრინციპები და ახლა განისაზღვრება მხოლოდ სამი კატეგორია: სდპ აუდიტორული ფირმები; სავალდებულო აუდიტის ფირმები; სხვა — არასავალდებულო აუდიტის ფირმები.

Grant Thornton Georgia ამჟამად მიეკუთვნება სდპ აუდიტორთა კატეგორიას, რაც წარმოადგენს უდიდეს და ყველაზე პრესტიჟულ კატეგორიას.

ჩვენ ვრჩებით ერთგულნი ხარისხის მართვის სისტემების მუდმივი გაუმჯობესებისადმი, რაც მოიცავს აუდიტის ხარისხის მონიტორინგს, პოლიტიკებისა და პრაქტიკის განახლებას და საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

ჩვენი ერთ-ერთი კლიენტის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით SARAS-ის მიერ 2024 წელს ჩატარდა დამატებითი მოკვლევა, კლიენტის მიერ წინა პერიოდის მონაცემებში შეტანილი ცვლილების გამო. მოკვლევის შედეგად, ასს 230-ის მე-8 და მე-9 („ა“) პუნქტების, ასს 500-ის მე-4 პუნქტისა და ასს 700-ის (გადასინჯული) მე-11 („ა“) პუნქტის მოთხოვნების დაუცველობის გამო ფირმა დაჯარიმდა 5,000 (ხუთი ათასი) ლარით.

SARAS-ის ინსპექტირების პროცესებმა და რეგულატორებთან გამართულმა ღია და კონსტრუქციულმა დიალოგმა მოგვცა ფასდაუდებელი ინფორმაცია და გამოცდილება, რომელიც გვეხმარება აუდიტის ხარისხის მუდმივ ზრდასა და ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წინაშე პასუხისმგებლობის შესრულებაში.

გარდა ამისა, GTIL-ის წევრი ფირმები გლობალურად აგრძელებენ ერთგულებას გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებისა და ხარისხის მართვის პრინციპებისადმი — ისინი რეგულარულად გადიან როგორც შიდა, ისე დამოუკიდებელ მესამე მხარის შემოწმებებს.

ამ ინსპექტირების შედეგებს GTIL და მისი წევრი ფირმები მიესალმებიან, ვინაიდან ისინი ხელს უწყობს მუდმივ გაუმჯობესებას და მომსახურების ხარისხის ამაღლებას მთელ ქსელში.

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა

Grant Thornton Georgia უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურებას, ხოლო „Go Beyond“ ქსელის სტრატეგია 2025 ხარისხს განიხილავს, როგორც სტრატეგიის ძირითად და აუცილებელ მიზანს.

წევრი ფირმები თავად არიან პასუხისმგებელი საკუთარი მომსახურების ხარისხზე, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად მათ GTIL-ის გლობალური მხარდაჭერა გააჩნიათ.GTIL უზრუნველყოფს წევრი ფირმების მხარდაჭერას ხარისხის მიმართულებით შემდეგ ძირითად სფეროებში:

ტექნოლოგია

მონიტორინგი

გარიგების მიღება

მეთოდოლოგია

წევრი ფირმების ვალდებულებები

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა

უდიტი და მარწმუნებელი მომსახურება წარმოადგენს ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს და ასრულებს გადამწყვეტ როლს საზოგადოებრივი ინტერესის დაცვაში. Grant Thornton Georgia-ს ხელმძღვანელობა სრულად არის ერთგული აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისადმი — რაც მოიცავს: მუშაობის ხარისხს, გამოცდილების ხარისხს, და ჩვენი ადამიანების პროფესიულ ხარისხს.

აუდიტისა და მარწმუნებელი მიმართულების ხელმძღვანელობა

ჩვენ კარგად გვესმის, რომ თითოეულს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ხედვა ღირებულების შესახებ, და ეს პრინციპი სრულიად მართებულია მაშინაც, როდესაც საქმე ეხება აუდიტორულ ან მარწმუნებელ მომსახურებას. იმის უზრუნველსაყოფად, რომ Grant Thornton Georgia მიაწოდებს დაინტერესებულ მხარეებს ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებას, ჩვენ საქმიანობას ვიწყებთ მაღალკვალიფიციური გუნდების ფორმირებით. ჩვენი გუნდები შედგება აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების გამოცდილ პროფესიონალებისგან, რომლებსაც არა მხოლოდ ღრმად ესმით კლიენტების საქმიანობის სპეციფიკა, არამედ კარგად იცნობენ მათ სექტორულ გარემოსაც. ამ ერთობლივი მუშაობის შედეგად გუნდები უზრუნველყოფენ არა მხოლოდ მაღალი ხარისხის აუდიტორულ და მარწმუნებელ მომსახურებას, არამედ ქმნიან დამატებით ღირებულებასაც - უზიარებენ კლიენტებს ხედვებს და დაკვირვებებს, რომლებიც დაკავშირებულია მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან. ასეთი ანალიზი ხშირად უწყობს ხელს ახალი აზროვნების გზების, ოპერაციული ეფექტიანობისა და წარმადობის გაუმჯობესებას. ფირმის აუდიტისა და მარწმუნებელი მიმართულების დირექტორები ხელმძღვანელობენ ამ პროცესს და პირდაპირ არიან პასუხისმგებელნი აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის მართვაზე და განმტკიცებაზე.

გლობალური აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მეთოდოლოგია და ტექნოლოგია

GTIL უზრუნველყოფს ერთიან ჩარჩოს, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა Grant Thornton-ის წევრ ფირმას განახორციელოს მდგრადი, მტკიცე და მაღალი ხარისხის აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებები.

ეს მიიღწევა შემდეგი საშუალებებით: გლობალური აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მეთოდოლოგიისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით; პროტოკოლებით, რომლებიც ამარტივებს კონსულტაციას სხვა წევრი ფირმების სპეციალისტებთან; სრულიფასოვანი ინტრანეტ-სერვისით, რომელიც უზრუნველყოფს უახლეს ინფორმაციას პროფესიული სტანდარტების შესახებ; გლობალური შეზღუდული ერთეულების სიის (restricted entities list) მართვით; IFRS-ის დახმარების ცენტრით (Help Desk) და საკვანძო თემატურ შეტყობინებებით (Topical Alerts).

გაითვალისწინეთ, რომ GTIL თავად არ აწვდის მომსახურებებს კლიენტებს, არამედ უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ მხარდაჭერას წევრი ფირმებისთვის.გარდა ამისა, GTIL-ის მეთოდოლოგიისა და სწავლების გუნდი (Methodology and Learning Team) რეგულარულად მართავს ონლაინ შეხვედრებს წევრ ფირმებთან, სადაც განიხილება აუდიტთან დაკავშირებული საკითხები - მათ შორის მეთოდოლოგიური კონცეფციები, ახალი გამოშვებები და პრაქტიკული პრობლემები. ამ შეხვედრების მიზანია, უზრუნველყოს, რომ ყველა ფირმა წინ მიიწიოს თანმიმდევრულად და ერთიანად, შეინარჩუნოს საერთო პროფესიული სტანდარტი და მოახდინოს სწრაფი რეაგირება ცვლილებებზე.

LEAP წარმოადგენს GTIL-ის მიერ ხელმძღვანელებულ უწყვეტ და კოლაბორაციულ ინიციატივას, რომლის მიზანია ხარისხისა და შესაბამისობის ხელშეწყობა და შენარჩუნება ყველა წევრი ფირმის აუდიტორულ პრაქტიკაში. LEAP-ს აქვს სამი ძირითადი მიმართულება: გლობალური აუდიტის მეთოდოლოგია, რომელიც ცნობილია როგორც LEAP methodology; ცენტრალურად შემუშავებული სასწავლო მოდულები და ჩართულობის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლებისა და პრაქტიკის გლობალურ თანმიმდევრულობას; მეთოდოლოგიის მუდმივი გაუმჯობესების სისტემა, რომელიც მხარს უჭერს ხარისხის კულტურის განვითარებას. Grant Thornton Georgia იყენებს LEAP მეთოდოლოგიას 2020 წლიდან ყველა აუდიტორულ გარიგებაზე. LEAP-ის ძირითადი უპირატესობები მოიცავს:

- საშუალებას იძლევა პირდაპირი კავშირის შექმნას საერთაშორისო აუდიტის სტანდარტებთან (ISA) - პროცესში გამოყენებულია იმავე ტერმინოლოგია და სტრუქტურა;
- გადამწყვეტ ყურადღებას აქცევს ანგარიშზე დაფუძნებულ მიდგომას (account-based approach), რათა ზუსტად შეფასდეს მნიშვნელოვანი არასწორი აღრიცხვის რისკი;
- უზრუნველყოფს აუდიტის გუნდებისთვის მოქნილობას, რათა მათ შეძლონ საკუთარი რეაგირების მოდელის დიზაინი თითოეული აუდიტირებადი ერთეულის სპეციფიკის შესაბამისად.

GTIL-მა ასევე განაახლა LEAP პროგრამული პლატფორმა, რათა დაეხმაროს მეთოდოლოგიის ეფექტიან დანერგვას. ამ ცვლილებებმა უზრუნველყო:

- მორგებული მიდგომის (tailored approach) მხარდაჭერა - რაც წარმოადგენს LEAP-ის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს;
- და მოქნილობა და მასშტაბურობა, რაც საშუალებას იძლევა პლატფორმამ ეფექტიანად მოიცვას ყველა ტიპის და ზომის აუდიტი.

ხმსს 1-თან შესაბამისობა

ხმსს 1-თან შესაბამისობა

Grant Thornton-ის გლობალური ქსელი მიესალმება საერთაშორისო აუდიტისა და მარწმუნებელი სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ შემუშავებულ ახალ ხარისხის მართვის სტანდარტებს და აღიარებს მათი დანერგვის მნიშვნელობას. ქსელი ხაზს უსვამს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა მოითხოვს მთელი ფირმის მასშტაბით ინტეგრირებულ მიდგომას, სადაც პასუხისმგებლობა თანაბრად ეკისრება როგორც გარიგების ხელმძღვანელს, ისე გარიგების ხარისხის მიმომხილველს. ეს ერთიანი მიდგომა განამტკიცებს ჩვენს ვალდებულებას, რომ ხარისხი დარჩეს ფუნდამენტურ პრინციპად ყველა გარიგებასა და გადაწყვეტილებაში, და ხელს უწყობს საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში ეფექტიან დანერგვას.

საერთაშორისო ხარისხის მართვის სტანდარტი 1 (ISQM 1) განსაზღვრავს ფირმის პასუხისმგებლობას დიზაინის, დანერგვისა და ოპერირების სისტემის შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის მართვას ფინანსური ანგარიშგებების აუდიტებისა და მიმოხილვებისთვის, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების ჩართულობებისთვის. აღნიშნული სტანდარტი შეყვანილი იქნა ძალაში 2022 წლის დეკემბრიდან. ამ ცვლილებაზე რეაგირების მიზნით, GTIL-მა განახორციელა სპეციალური მიმოხილვების სერია, რომლებიც მიზნად ისახავდა წევრი ფირმების მიერ ISQM 1-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას და კონტროლს.

ISQM 1-ის წარმატებული დანერგვა ქსელის მასშტაბით იყო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პრიორიტეტი Grant Thornton-ისთვის, ვინაიდან იგი წარმოადგენს რისკების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ცენტრალურ ელემენტს. ამ მიზნების ჰარმონიზაცია სრულად შეესაბამება Grant Thornton-ის ქსელის სტრატეგიაში განსაზღვრულ მოლოდინებსა და ხარისხის სტანდარტებისადმი ერთგულებას..

ყველა Grant Thornton-ის წევრმა ფირმამ განაცხადა, რომ მათ წარმატებით დაასრულეს ISQM 1-ის დანერგვის პროცესი. ამჟამად GTIL ახორციელებს შესაბამისობის მონიტორინგს კომბინირებული მიდგომით — ეს მოიცავს როგორც GTAR-ის (Grant Thornton Assurance Review) ფარგლებში განხორციელებულ პროცედურებს, ისე ISQM 1-ის სპეციალურ მიმოხილვებს თითოეულ წევრ ფირმაში.

GTIL აქტიურად უჭერს მხარს წევრ ფირმებს ამ პროცესში, მათ შორის: სპეციალური ISQM 1-ის რესურსების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მეთვალყურეობას და ტექნიკურ დახმარებას; ვებინარების, სახელმძღვანელოებისა და შაბლონების მიცემით, რომლებიც ხელს უწყობს პრაქტიკული დანერგვის გამარტივებას.მიუხედავად ამ მხარდაჭერისა, GTIL მკაფიოდ უსვამს ხაზს, რომ თითოეული წევრი ფირმა სრულიად პასუხისმგებელია საკუთარი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიან დიზაინსა და ოპერირებაზე, რაც წარმოადგენს დამოუკიდებლობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის განუყოფელ ნაწილს.



ფირმის მენეჯმენტის განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის შესახებ 2024 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით

ჩვენ შევასრულეთ შეფასება 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდში, ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის შესახებ, საერთაშორისო ხარისხის მართვის სტანდარტის (ISQM 1) შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო აუდიტისა და მარწმუნებელი სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ.გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია დადგენილ ხარვეზებთან, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი, თუმცა არა ყოვლისმომცველი გავლენა სისტემის დიზაინზე, დანერგვასა და ოპერირებაზე — ფირმის ხარისხის მართვის სისტემა უზრუნველყოფს გონივრულ რწმუნებას, რომ ხარისხის მართვის მიზნები მიღწეულია. ყველა სხვა შენიშვნა და აღმოჩენილი საკითხი იქნება გამოსწორებული და აღმოფხვრილი აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის პარალელურად.

გარიგების მიღება

Grant Thornton-ის ქსელში დანერგილია შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ წევრი ფირმები მიიღებენ მხოლოდ იმ გარიგებებს, რომელთა შესრულებაც შეუძლიათ პროფესიული სტანდარტების სრული დაცვით.

გარდა იმ კონტროლებისა, რომლებიც მოქმედებს თითოეული წევრი ფირმის დონეზე, მაღალი რისკის მქონე გარიგებები უნდა გადაეგზავნოს გლობალურ კომიტეტს - რომელიც შედგება წევრი ფირმების უფროსი პარტნიორებისგან - GTIL-ის Key Assignment Acceptance (KAA) პოლიტიკის შესაბამისად დამტკიცებისთვის. KAA კომიტეტისთვის განხილვისთვის წარდგენის კრიტერიუმების მაგალითებია:

- როდესაც კლიენტთან დაკავშირებული ჰონორარი აღემატება ფირმის წმინდა შემოსავლის 5%-ს;
- როდესაც კლიენტი სხვა იურისდიქციაშია დალისტული (listed entity);
- როდესაც ფირმას არ გააჩნია ბოლო პერიოდში შესაბამისი დარგობრივი გამოცდილება;
- როდესაც პოტენციური ჩართულობა განსაკუთრებით მაღალი შემოსავლით ან აქტივებით ხასიათდება;
- ან როდესაც კლიენტის საქმიანობას შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს Grant Thornton-ის ბრენდის რეპუტაციაზე.

2024 წლის განმავლობაში, KAA კომიტეტმა განიხილა 508 პოტენციური ჩართულობა,ხოლო ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ამ განხილვების შედეგების განაწილებას:

ძირითადი გარიგებების გადაწყვეტილებები



მეთოდოლოგია

GTIL მუდმივად ახორციელებს ინვესტიციებს ქსელის მეთოდოლოგიის განახლებისა და სრულყოფის მიზნით, რათა ის მუდმივად შეესაბამებოდეს თანამედროვე პროფესიულ მოთხოვნებსა და საუკეთესო პრაქტიკას. აუდიტის მეთოდოლოგიის მიმართულებით ეს ნიშნავს სრული შესაბამისობის უზრუნველყოფას საერთაშორისო აუდიტის სტანდარტებთან.

აუდიტის მეთოდოლოგიის ჯგუფი (AMG) პასუხისმგებელია Grant Thornton-ის აუდიტის მეთოდოლოგიის შენარჩუნებასა და განვითარებაზე. ჯგუფი შედგება ქსელის მსხვილი წევრი ფირმების წარმომადგენლებისგან, რომლებიც თავიანთ ფირმებში აღიარებულნი არიან როგორც პროფესიული სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის სფეროს ექსპერტები.

AMG აქტიურად მონიტორინგს უწევს ახალ და გადხედილ სტანდარტებს, რათა უზრუნველყოს მათი დროული ინტეგრირება ფირმის საქმიანობაში. გარდა ამისა, Grant Thornton არის Global Public Policy Committee-ის თავმჯდომარე, რაც ქსელს აძლევს შესაძლებლობას, იყოს სტანდარტების შემუშავების პროცესის წინა ხაზზე და სწრაფად მოახდინოს რეაგირება ცვლილებებზე, მჭიდრო თანამშრომლობით საკვანძო სტანდარტშემქმნელ ორგანოებსა და პროფესიულ ასოციაციებთან.

ყველა წევრი ფირმა ვალდებულია გამოიყენოს Grant Thornton-ის აუდიტის მეთოდოლოგია ყველა შესაბამის გარიგებაზე. ამის შემდეგ, თითოეული ფირმა ადაპტირებს გლობალურ მეთოდოლოგიას საკუთარი ქვეყნის იურიდიულ და რეგულაციურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რათა უზრუნველყოს მისი ადგილობრივი გამოყენების სიზუსტე და შესაბამისობა.

Grant Thornton-ის მეთოდოლოგიის დანერგვას მხარს უჭერს სპეციალური შაბლონები, სახელმძღვანელოები და ვებინარები, რომლებიც განკუთვნილია წევრი ფირმებისთვის პრაქტიკული გამოყენების გასამარტივებლად.

გლობალური აუდიტის შეტყობინებები (Global Assurance Alerts) გამოიყენება პოლიტიკის ცვლილებების გამოცხადებისთვის, მეთოდოლოგიური მასალის ყოველთვიური განახლებების გასავრცელებლად, ასევე სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გასაზიარებლად ქსელის მასშტაბით. ამ შეტყობინებებს ამზადებს აუდიტის მეთოდოლოგიის ჯგუფი (AMG), რომელიც იყენებს მონაცემებს: კვლევებისა და ანალიზის შედეგებიდან, წევრი ფირმების უკუკავშირიდან, და გარე სტანდარტშემქმნელი ორგანოების მასალებიდან, მათ შორის განხორციელების გზამკვლევებისა და ხშირად დასმული კითხვების (FAQ) ფორმატში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან.

წევრი ფირმების ვალდებულებები

Grant Thornton-ის ქსელის წევრი ფირმები ვალდებულნი არიან, დაიცვან წევრი ფირმების ვალდებულებები (Member Firm Obligations – MFOs)

MFO-ების მოთხოვნებთან შესაბამისობა წარმოადგენს წევრი ფირმებისათვის აუცილებელ წინაპირობას, რათა მათ მიიღონ Grant Thornton-ის ქსელის წევრობისგან გამომდინარე სარგებელი და უფლებები. ამავდროულად, აღნიშნული ვალდებულებები ხელს უწყობს მომსახურების ხარისხის ამაღლებას და ნდობის გაძლიერებას ქსელის მასშტაბით. MFO მოიცავს 50-ზე მეტ მოთხოვნას, რომლებიც ფარავს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიცაა: ეთიკა და დამოუკიდებლობა; პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობა; კიბერუსაფრთხოება; ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (AML); და Grant Thornton-ის ბრენდის გამოყენების სტანდარტები.

დამატებით, ქსელში მოქმედებს დამტკიცების, კლიენტის აყვანის და კონსულტაციის პოლიტიკები, რომლებიც უზრუნველყოფს წევრი ფირმების შესაძლებლობას განავითარონ მაღალი ხარისხის მომსახურება და მდგრადი საგადასახადო და საკონსულტაციო პრაქტიკა. ეს პოლიტიკები ასევე ზრდის გამჭვირვალობას წევრი ფირმების შესაძლებლობების შესახებ და უზრუნველყოფს რისკების ეფექტიან მართვას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს საზღვარგარეთულ ჩართულობებთან ან საერთაშორისო კლიენტებთან მუშაობასთან.

წევრ ფირმებს მოეთხოვებათ GTIL-ის წინასწარი ავტორიზაცია, რათა შეძლონ გარკვეული ტიპის აუდიტორული, საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. ყოველი მომსახურების მიმართულებით, ფირმები კლასიფიცირდება გამოცდილების, შესაძლებლობების და სხვა ფირმების მხარდაჭერისა და საერთაშორისო ჩართულობების შესრულების უნარის მიხედვით.

GTIL ამჟამად მუშაობს ავტორიზაციის გაფართოებაზე, რათა ის მოიცავდეს მდგრადობის (sustainability) მომსახურების გარკვეულ სახეებსაც. რადგან ბიზნესისა და რეგულაციების გარემო მუდმივად იცვლება, GTIL სისტემატურად გადახედავს და აახლებს წევრი ფირმების ვალდებულებებს (MFOs), რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებსა და მიზნობრიობას.

ურთიერთობა რეგულატორებთან

Grant Thornton-ის გლობალური ქსელი ერთგულია რეგულატორებთან გამჭვირვალე და კონსტრუქციული თანამშრომლობის პრინციპის. ქსელის უმეტესობა წევრი ფირმა ექვემდებარება ადგილობრივ აუდიტორულ რეგულაციებს, ხოლო GTIL-ის წარმომადგენლები რეგულარულად თანამშრომლობენ საერთაშორისო დამოუკიდებელი აუდიტორების რეგულატორთა ფორუმთან (IFIAR), რათა წარადგინონ ინფორმაცია აუდიტის ხარისხის განვითარების და შენარჩუნების პროგრესის შესახებ.

IFIAR აერთიანებს 56 იურისდიქციის დამოუკიდებელ აუდიტორულ რეგულატორებს მსოფლიოს მასშტაბით. მისი მისიაა საჯარო ინტერესის დაცვა, მათ შორის ინვესტორთა ინტერესების, გლობალური აუდიტორული ზედამხედველობის გაძლიერების გზით. IFIAR-მა ჩამოაყალიბა გლობალური აუდიტის ხარისხის სამუშაო ჯგუფი (Global Audit Quality Working Group – GAQWG), რომელიც შედგება მსხვილი ეკონომიკების რეგულატორთა წარმომადგენლებისგან. GTIL-ის წარმომადგენლები წელიწადში ორჯერ პირადად ხვდებიან ამ ჯგუფს, რათა განიხილონ აუდიტის ხარისხთან დაკავშირებული საკითხები და პროგრესი. გარდა ამისა, GTIL-ის აღმასრულებელი დირექტორი (CEO) და გლობალური აუდიტის ხელმძღვანელი (Global Head of Assurance) წელიწადში ერთხელ ხვდებიან IFIAR-ის მთელ შემადგენლობას - ერთ შემთხვევაში ვირტუალურად, ხოლო მეორედ პირისპირ შეხვედრაზე. შეხვედრების ძირითადი თემებია:

- ქსელის სტრატეგია და ფირმის მმართველობა;
- აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება;
- აუდიტორული ტექნოლოგიები და ინოვაციები;
- ხმსს 1 სტანდარტთან შესაბამისობა;
- გარე რისკები — მაგალითად, გეოპოლიტიკური ფაქტორები, ეკონომიკური არასტაბილურობა და პროფესიის მიმზიდველობა.

ფინანსური ინფორმაცია

2024 და 2023 წლის შემოსავალი

Grant Thornton საქართველოს მთლიანმა შემოსავალმა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგინა 5.5 მილიონი ქართული ლარი. შემოსავლის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მომსახურების მიმართულება	2024	% წვლილი	2023	ზრდა %
აუდიტი	1,917,099	35%	1,957,054	(2)%
სხვა მომსახურებები	3,577,395	65%	2,899,372	23%
სულ		**5,494,494**	**4,856,426**	**13%**

პარტნიორთა ანაზღაურების საფუძველი

პარტნიორთა ანაზღაურება დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობაზე, მათ შორის: ფინანსურ შედეგებზე, კლიენტურ პორტფელზე, მმართველობით პასუხისმგებლობებზე და მიწოდებული სამუშაოს ხარისხზე. ხარისხი წარმოადგენს ერთ-ერთ ოფიციალურ საკვანძო წარმადობის მაჩვენებელს (KPI) - შემოსავალთან და მმართველობით შესრულებასთან ერთად. პარტნიორთა ანაზღაურებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებს პარტნიორთა საერთო კრება, სადაც ხარისხთან დაკავშირებული საკითხები განიხილება კომერციულ შედეგებთან შესაბამისობაში.

სდპ-ების დასახელება, რომელსაც კომპანია უწევდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში

Grant Thornton საქართველოს მიერ სდპ-ების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურებიდან მიღებული ჯამური შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 126,120 ქართულ ლარს. სდპ-ების სია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სს „გრინ დაზღვევა საქართველო “
- სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“
- სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევა“
- სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“
- სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი

აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტირებული სუბიექტისათვის, მისი მშობელი საწარმოსათვის ან მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმოსათვის, კანონის შესაბამისად დაშვებული, არააუდიტორული მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები

აუდიტირებული სუბიექტისათვის არააუდიტორული მომსახურების გაწევით მიღებულმა შემოსავლებმა 2024 წელს შეადგინა 67,200 ლარი, რაც მთლიანი აუდიტორული მომსახურების შემოსავლების 3,5%-ს შეადგენს.

გლობალური ფინანსური ინფორმაცია

შედეგები მოცემულია 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

USD8.0bn

up from

USD7.5bn

EMEA
up 11.7% to
USD3.2bn

Asia Pacific
up 7.0%# to
USD1.3bn

Americas
up 7.0% to
USD3.5bn

Assurance
up 11.9% to
USD3.5bn

Advisory
up 5.0% to
USD2.8bn

Tax
up 8.9%# to
USD1.6bn

Global headcount
72,858 to
75,891

The Grant Thornton network recorded global revenues of USD8.0 billion for the financial year ended 30 September 2024, up from USD7.5bn in 2023. This represents sustained growth of 8.8%*# in adjusted constant currency terms and 7.3% network growth in unadjusted USD terms.

Regionally, strong growth was led by EMEA (up 11.7% to USD3.2bn), followed by the Americas (up 7.0% to USD3.5bn), and Asia Pacific (up 7.0%# to USD1.3bn).

Growth across all major service lines was led by assurance (up 11.9% to USD3.5bn), followed by tax (up 8.9%# to USD1.6bn), and advisory (up 5.0% to USD2.8bn), reinforcing the value of the network's multidisciplinary model.

Global headcount grew from 72,858 to 75,891 reflecting the network's ongoing investment in its people and its commitment to building a diverse and inclusive global culture.

*GTIL reports global results in US dollars (USD). However, most member firms do not use USD as their local reporting currency so current year results are calculated using the prior year USD rate to remove the impact of currency fluctuations of the current year. This is referenced as 'constant currency'. Growth in constant currency is also reported on a pro rata basis adjusted for practice disposals by member firms in the network. This enables for a like-for-like comparison between reporting periods.

#Growth percentage in local currency adjusted for divestiture of the Y&P entity in Grant Thornton Japan.

© 2025 Grant Thornton Ltd. All rights reserved.

‘Grant Thornton’ refers to the brand under which the Grant Thornton member firms provide assurance, tax and advisory services to their clients and/or refers to one or more member firms, as the context requires. Grant Thornton International Ltd (GTIL) and the member firms are not a worldwide partnership. GTIL and each member firm is a separate legal entity. Services are delivered by the member firms. GTIL does not provide services to clients. GTIL and its member firms are not agents of, and do not obligate, one another and are not liable for one another’s acts or omissions.